მეგსგ

ალექსანდრე ბოროდინი

საუბრები აზროვნებაზე

მასალები არქივიდან

თარგმანი რუსული ენიდან
ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2025

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:
Фонд Мераба Мамардашвили
Москва
2015

გარეკანზე გამოყენებულია *უილიამ ბლეიკის* ნახატი:
დანტე გაურბის სამ მხეცს (1824-1827)
„ღვთაებრივი კომედია“ (ჯოჯოხეთი I, 1-90)

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
სამეცნ. რედაქტორი: ბაქარ როსტიაშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გარეკანის დიზაინი: ია გაბუნია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2025
ვებგვერდი: AKTI.GE

© ელენე მამარდაშვილი
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-6601-2

სარჩევი

წინასიტყვაობა / ბ. როსტიაშვილი, ა. პარამონოვი....4
საუბრები აზროვნებაზე (მოსკოვი, 1987)
პირველი საუბარი....5
მეორე საუბარი....33
მესამე საუბარი....54
საუბრები აზროვნებაზე (თბილისი, 1987)
პირველი საუბარი....94
მეოთხე საუბარი....118
მეხუთე საუბარი....143
არტოს მეტაფიზიკა....163
ადამიანი უსაფუძვლო არსებაა....183
„არარსებულთ მიეც არსებობა...“....197
მასალები საუბრები აზროვნებისთვის (თბილისი, 1987)
მეცამეტე საუბარი....222
მეთექვსმეტე საუბარი....225
მეჩვიდმეტე საუბარი....228
მეთვრამეტე საუბარი....230
მეოცე საუბარი....232
ოცდამეერთე საუბარი....235
ოცდამეორე საუბარი....237
ოცდამესამე საუბარი....239
მასალები საუბრები აზროვნებისთვის (თბილისი, 1988)....243
მასალები საუბრები აზროვნებისთვის (თბილისი, 1990)....246
დაუთარიღებელი ფრაგმენტები....251

წინასიტყვაობა

გასული წლის შემოდგომაზე გამომცემლობა „აქტის“ მიერ დაიბეჭდა წიგნი „საუბრები აზროვნებაზე“, რომელშიც წარმოდგენილია მერაბ მამარდაშვილის მიერ 1986-1987 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციათა კურსი. ჩვენ ვაგრძელებთ პუბლიკაციას მასალებით მერაბ მამარდაშვილის არქივიდან 1986-1990 წწ. პერიოდის რამდენიმე ტექსტთან ერთად, რომლებსაც უშუალო ან ძალიან ახლო მიმართება აქვთ ამ ლექციების შინაარსსა და თემატიკასთან.

დასაწყისში მოგვყავს სხვადასხვა წლების ზეპირი მოხსენებების ტექსტები – „საუბრები აზროვნებაზე“ „მოტივების მიხედვით“. მათ განეკუთვნება 1987 წლის დეკემბერში კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში წაკითხული სამი ლექცია, ასევე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაზაფხულის დასაწყისში წაკითხული სამი ლექცია კურსის – „საუბრები აზროვნებაზე“ – მეორე დიდი ნაწილიდან, რომელიც შემოდგომაზე არ გაგრძელებულა (ამ ექვსივე ლექციას ვუწოდეთ „საუბრები“), და სამი ტექსტი, რომლებიც თემატურად ასევე ახლოს დგას კურსთან – „საუბრები აზროვნებაზე“: ლექცია, რომელსაც პირობითად ეწოდება „არარსებულთ მიეც არსებობა“ (წაკითხვის ზუსტი დრო და ადგილი უცნობია, დაახლოებით 1987-1988 წწ.), 1988 წელს მოსკოვში, ფილოსოფიის ინსტიტუტში, მრგვალი მაგიდის სიტყვით გამოსვლა „ადამიანი უსაფუძვლო არსებაა“ (სახელწოდება ასევე პირობითია) და 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენება „არტოს მეტაფიზიკა“. ეს სამი ტექსტი ეძღვნება კურსის – „საუბრები აზროვნებისათვის“ – მთავარ საკითხს – „რა არის აზროვნება?“ და მკითხველს შეუძლია დიდი სირთულის გარეშე ამო-

იკითხოს მოტივები, რომლებსაც შესაძლოა მკითხველი იცნობდეს წიგნად გამოქვეყნებულ ლექციათა ციკლიდან – „საუბრები აზროვნებაზე“.

წარმოდგენილი ტექსტები ზეპირი გამოსვლებისა გაკეთებულია შემორჩენილი აუდიოჩანაწერების მასალაზე. ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრის პერიოდი მამარდაშვილისთვის გამორჩეულია მიწვევებისგან განპირობებული ხშირი მგზავრობითა (როგორც სსრკ-ს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ) და მრავალი გამოსვლით, ინტერვიუებითა და ლექციებით *ad hoc*. ცალკეული, სალექციო კურსში ვერმოთავსებული ზეპირი გამოსვლების არახანგრძლივობა კომპენსირდებოდა მამარდაშვილის მისწრაფებით, მიეცა მათთვის მაქსიმალური მოცულობითობა და თვითკმარობა. გამოსვლების სპონტანურობის გამო „დასაწყისის“ სახით აღებულია დროის მიხედვით მისთვის ახლობელი ესა თუ ის შთაბეჭდილება (მაგ. ფილმისგან – „ანდალუსიური ძაღლი“ ან მისი ამერიკაში მგზავრობისას მიღებული). რა თქმა უნდა, ასევე გვხვდება ზოგიერთი სიუჟეტის ან მაგალითის გამეორება, რაც არ უშლის ხელს ყოველ გამოსვლას, შეინარჩუნოს თავისი უნიკალურობა.

კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტში 1987 წელს წაკითხული ლექციები ჩაწერილია სამ აუდიოკასეტაზე, რომლებზეც მითითებულია დათარიღება; განსხვავება თარიღებს შორის, ასევე ზოგიერთი შინაარსობრივი მომენტი ლექციებიდან გვაძლევს შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ „მეორე საუბარსა“ და „მესამე საუბარს“ (მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ნუმერაცია პირობითია) შორის კიდევ იყო წაკითხული ლექციები, რომელთა აუდიოჩანაწერები მამარდაშვილის პირად არქივში შემორჩენილი არ არის.

1988 წლის გაზაფხულზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მამარდაშვილმა წაიკითხა სამი ლექცია, როგორც კურსის „საუბრები აზროვნებაზე“ ნაწილი, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ არ გაგრძელებულა – სავარაუდოდ ქვეყანაში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო. ლექციათა ნომრებისა და თარიღების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლექციები ერთმანეთს არ მიჰყვება და პირველსა და მეორეს შორის წაკითხულია კიდევ ორი ლექცია. ამიტომ ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ლექციებს ეწოდება „საუბარი პირველი“, „საუბარი მეოთხე“ და „საუბარი მეხუთე“. ამ ბლოკის მეორე ლექციის („საუბარი მეოთხე“) შინაარსი დიდწილად ეთმობა მის დაკვირვებებსა და ზოგად შთაბეჭდილებებს, რომლებიც მან აშშ-ში მიიღო, საიდანაც იგი ლექციების წინ დაბრუნდა. საინტერესოა, რომ 1988 წლის გამოსვლა მრგვალ მაგიდაზე მოსკოვში ასევე

საუბრები აზროვნებაზე

კსსი[1], 1987

პირველი საუბარი

(1987 წლის 2 დეკემბერი)

ის, რის შესახებაც უნდა ვისაუბროთ, პირობითად შეგვიძლია აღვნიშნოთ სიტყვებით „რას ნიშნავს აზროვნება?“ ან სხვაგვარად: „საერთოდ რატომ ვაზროვნებთ, თუ ვაზროვნებთ?“ ამის შესახებ ღირს საუბარი იმიტომ, რომ, ჩვეულებრივ, ახალი აზროვნების აუცილებლობის შესახებ საუბრობენ ხოლმე, მაგრამ სინამდვილეში ეს გასავლიანი სიტყვათწარმოქმნა საქმის არსის ბუნებას ფარავს, რადგან, თუ ვაზროვნებთ, აზროვნება ყოველთვის ახალია. უბედურება ისაა, რომ ადამიანი უფრო ხშირად არ აზროვნებს, თუმცა თავისი ფსიქიკის ლოგიკურ ფუნქციებს ამოქმედებს, ოპერირებს აზრებითა და დასკვნებით და რაღაც ზოგად ცნებებსა და წარმოდგენებს აგებს. თუმცა თვით აზროვნების, როგორც ჩვენი ფსიქიკის ლოგიკური ფუნქციის განხორციელება აზროვნებით, [როგორც ასეთით], არ ვლინდება, იმ აზრით, რომლითაც ფილოსოფიას იმის ჩვენება შეუძლია, თუ სინამდვილეში რა ხდება მაშინ, როდესაც ვაზროვნებთ, საერთოდ რატომ ვაზროვნებთ და მაშინ რა ხდება, როდესაც არ ვაზროვნებთ.

ძალიან ძველი პლატონისეული მეტაფორა არსებობს, მღვიმის მეტაფორა, რომელიც იმას აღწერს, რა არის, როდესაც არ ვაზროვნებთ: მაშინ მღვიმის კედლებზე ჩრდილებია, რომლებსაც ადამიანის თვალმა უნდა უყუროს, თუკი მისი თავი განსაზღვრულ პოზიციაშია დამაგრებული და მას არც

1. კსსი – კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი – მთარგმნელი.

გვერდიდან ყურება შეუძლია და არც მღვიმიდან გამოსვლა და ამ ჩრდილების წყაროს დანახვა. ის მხოლოდ ეკრანზე პროეცირებულ ჩრდილებს ხედავს, რომლებიც თვით მღვიმის კედლებით არის წარმოდგენილი, მას თავისი აზროვნების ლოგიკის საშუალებით ამ ჩრდილების ერთმანეთს შორის კომბინირება, რაღაცის მიმატება, დაკლება, შეერთება, გაყოფა და სრულიად მრავალფეროვანი მსჯელობის აგება შეუძლია, და ეს ყველაფერი არის მსჯელობა იმის შესახებ, რაც სინამდვილეში არ არსებობს და მხოლოდ რაღაც სხვა სამყაროს ჩრდილს წარმოადგენს, რომელიც იმ წყაროს შეიცავს, რომლიდანაც არის პროეცირებული ის სინათლე, რომელიც ამ ჩრდილებს წარმოშობს და მათ არსებობის მოჩვენებითობას ანიჭებს. არსებობის მოჩვენებითობა იმითაც მყარდება, რომ ამ ჩრდილებთან ყოველთვის არის შეზრდილი და მირჩილული ადამიანური სურვილები, იმედები და მიზნები და რაც უფრო ღრმად ეფლობა ადამიანი თავის სურვილებსა და თავისი მიზნების დევნაში, მით უფრო შეეზრდება ის ამ აჩრდილებს და იმ წერტილთანაც კი მიდის, სადაც ამ ჩრდილების რეალურობა, ანუ აზრი და მტკიცება, რომ სწორედ ეს ჩრდილებია სინამდვილე, მისი სიცოცხლის პირობა ხდება. ის იმ მტკიცებას ვერ განშორდება, რომ სწორედ ეს ჩრდილებია რეალობა, რადგან ეს იმის ტოლი იქნებოდა, საკუთარ სიცოცხლეს და საკუთარი თავისადმი პატივისცემას, მის მიერ მოპოვებულ თვითიგივეობას, ანუ საკუთარი თავის, როგორც თავისი გამოვლენის ყველა წერტილში ერთიანისა და სავსეს, ცნობიერებას განშორებოდა, და უმალ მზად იქნება, ყელი გამოსჭრას ან მოკლას ის, ვინც ამ ჩრდილებს შეარხევს და აჩვენებს, რომ ეს ჩრდილებია და არა რეალობა.

შესაბამისად, იმის თქმა მსურს, რომ ადამიანის ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, თუ როგორ დაშორდეს არარსებობებს, ანუ იმას, რაც სინამდვილეში არ არსებობს (სინამდვილეში კი რაღაც სრულიად სხვა არსებობს). პლატონმა თავის დროზე ეს მეტაფორა იმის აღსაწერად გამოიგონა, რისთვისაც, როგორც ფრანგები იტყვიან, შეიძლებოდა *condition humaine* გვეწოდებინა, ჩვენ კი მას ვთარგმნიდით როგორც „ადამიანის ხვედრს“, ანუ ადამიანური ხვედრი – თუ ადამიანი საკუთარ თავს, თავის ბუნებრივ მდგომარეობას ეკუთვნის – არის სიცოცხლე მღვიმეში და მღვიმის კედლებზე არსებული ჩრდილების მიღება სინამდვილის სახით. შეიძლება მთელი მისი სიცოცხლე ასე დასრულდეს და მან ვერც კი შეიტყოს, რომ მღვიმეში ცხოვრობდა, მით უმეტეს, თუ ის საკუთარ თავს ცოცხლად ინარჩუნებდა, საკუთარი თავის ცოცხლად შენარჩუნება კი ნიშნავს წინ საკუთარი თავის უსასრულო პროექციას, ისეთის, როგორიც მოცემულ მომენ-

ტში ხარ. როდესაც ჩვენ ხვალინდელი დღის შესახებ ვფიქრობთ, ყოველთვის გვგონია, რომ ხვალინდელი მოვლენები დღევანდელ „მე“-ს დამემართება – მე საკუთარი თავი წინ მიმყავს და რაღაც მოვლენებთან ერთად ვახდენ პროეცირებას. მე მათ შესახებ ობიექტურად მსჯელობას ვცდილობ, მაგრამ სინამდვილეში მე უკვე მოვახდინე ჩემი თავის პროეცირება წინ როგორც იმ მოვლენების სუბიექტმა, ეს სუბიექტი კი სწორედ ისაა, რომელიც მე ამ წერტილში ვარ.

ამიტომ, სხვათა შორის, ვიტყვი, რომ ცხადი ცნობიერების, ანუ აზრის ძირითადი პრობლემა, როგორც ძველი ინდოელი ფილოსოფოსები იტყოდნენ, იმ საკუთარი მდგომარეობის ცვლილებაა, რომელიც შენში მოვლენის (ან აღქმის) მომენტში არსებობს, ანუ შენ უნდა შეხვდე მას შეცვლილი და მხოლოდ შეცვლილი *შეძლებ* მასთან შეხვედრას. რასაკვირველია, ამას ცოცხალი არსების ადამიანური წარმოდგენების პროექცია უშლის ხელს, რადგან ცოცხალ არსებას პრინციპში არ შეუძლია სიკვდილის წარმოდგენა. იმ პარადოქსს ჩაუფიქრდით, რომ სიცოცხლე, როგორც ასეთი, უსასრულოა. ოდესღაც ძველი დროის ადამიანები ამბობდნენ, რომ რეალობა, ანუ ნივთები, როგორც ასეთი, მხოლოდ იმით ვერ გაიზომება, რასაც ვხედავთ, რადგან ნივთების საზღვარს წინასწარჭვრეტა წარმოადგენს. სწორედ ეს წინასწარჭვრეტა არის საკუთარი თავის პროექცია წინ იმ სუბიექტის სახით, რომელიც შემდეგ მომენტს აღიქვამს.

იმის განმარტება, თუ რას ვგულისხმობ, შემდეგი ფილოსოფიური თეზისითაც შეიძლება: თვალის მხედველობის არე უსასრულოა. სიტყვის რა აზრით? – იმ აზრით, რომ მხედველობის ნებისმიერ წერტილში, სადაც რაღაც აღიქმება, ამას თვალი აღიქვამს. მხედველობის არე უსასრულოა, ასევე უსასრულოა სიცოცხლეც. მოკვდავი არსება, ადამიანი, ცოცხლობს როგორც ცოცხალი არსება თავისი სიცოცხლის უსასრულობისა და დასანანი შემთხვევითობის ან არაბუნებრიობის, სიკვდილის ღრმა რწმენით. ის ყოველთვის მაშინ შემოიჭრება ხოლმე, როცა ჩვენ წინ ვდგამთ ნაბიჯს და ერთი ფეხი ნაბიჯის ან ნეხევარნაბიჯის გადასადგმელად გვაქვს აწეული. ის კი (სიკვდილი) ყოველთვის არადროულია, ყოველთვის დასანანია, ყოველთვის დაუმსახურებელი და ყოველთვის შემთხვევითია. სანამ ცოცხლები ვართ, არაცოცხლებად საკუთარი თავის წარმოდგენა არ შეგვიძლია.

ამგვარად, რადგან ჩვენი მზერა, რომელიც ნივთებს ათვალიერებს, არასოდეს ჩამოდის წინასწარჭვრეტის, ანუ წინასწარგანზრახული ხედვის სხივის სიბრტყიდან, ჩვენ ვერასოდეს ვახერხებთ განსხვავებულისა და სხვის,

გამომცემლობის მიერ გამოცემული
მერაბ მამარდაშვილის წიგნები

1. საუბრები აზროვნებაზე
2. საუბრები აზროვნებაზე
   (მასალები არქივიდან)
3. სიმბოლო და ცნობიერება
4. კარტეზიანული განაზრებანი
5. ცნობიერება და ცივილიზაცია
6. ლექციები ანტიკურ ფილოსოფიაში
7. რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები